



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

26 სექტემბერი - 2 ნოემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2016 წლის 20 მაისიდან 2016 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, ქრონიკა +“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 26 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება კვლავ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 7 გამოცემიდან 5-ში მეტ-ნაკლებად ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას;
- მხოლოდ ერთ გამოცემაში („ქრონიკა+“) ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ.

- ორ გამოცემაში („ალია“ და „ასავალ-დასავალი“) კვლავ გამოვლინდა უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას;
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები კვლავ გვხვდებოდა გამოცემებში „ალია“, „ქრონიკა +“ და „ასავალ-დასავალი“;
- ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები კვლავ სისტემატურად გვხვდება გამოცემებში „ალია“ და „ასავალ-დასავალი“;
- დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები კვლავ გვხვდებოდა გაზეთებში „ქრონიკა +“, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“.
- არჩევნების მეორე ტურის გაშუქებისას საკმაოდ პასიურად შუქდებოდნენ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატები;
- გამოცემები ნაკლებად დროს უთმობდნენ მეორე ტურის კანდიდატებს და ძირითადად პოლიტიკურ პარტიებს აშუქებდნენ. გამონაკლისი შემთხვევა დაფიქსირდა გაზეთ „ალიაში“, სადაც პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მაჟორიტარობის კანდიდატი, ვალერი გელაშვილი უჩვეულოდ დადებითად წარმოჩინდა;
- ბეჭდურ მედიაში ნაკლებად გვხვდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურების გაშუქება;
- არჩევნების შედეგების გაშუქებისას შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით გამოირჩეოდა „ალია“ და „ასავალ-დასავალი“.

(შენიშვნა: მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებები ეყრდნობა მხოლოდ პოლიტიკურ სუბიექტა გაშუქების ანალიზს)


## რეზონანსი

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „რეზონანსში“ კვლავ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. გამოცემაში ფასიანი სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული რედაქციის მიერ მომზადებული მასალებისგან. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „რეზონანსში“ არ გამოვლენილა.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (29%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (21%) და მთავრობის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (41%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (26%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (21%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (20%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი „ქართულ-ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (15%), ადგილობრივ თვითმმართველობებსა (14%) და საქართველოს მთავრობას (13%) ერგოთ.

აღსანიშნავია, რომ „რეზონანსში“ გვხვდება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები, რომლებიც მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო სტატიებისგან. ასეთი ტიპის მასალები ძირითადად ჩასმულია ჩარჩოში, ხოლო გაზეთის ბოლო გვერდზე საკმაოდ წვრილი შიფტით არის წარმოდგენილი განმარტება, რომ ჩარჩოში ჩასმული სტატიები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და გაზეთის რედაქცია პასუხს არ აგებს სარეკლამო სტატიებში მოყვანილ ფაქტებზე. უმჯობესია, რომ გაზეთმა მკაფიოდ, მკითხველისთვის გასაგებად მიუთითოს ყველა სტატია, რომელიც მომზადებულია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსში“ კვლავ ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ძირითადად გვხვდება რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.




## ალია

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „ალიაში“ კვლავ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური სუბიექტის გაშუქებისას. გამოცემაში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.*

„ალიაში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (20%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (16%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (13%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (8%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (84%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (75%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (68%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (60%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (57%) და მთავრობის (56%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი „თავისუფალ დემოკრატებსა“ (25%) და „ქართულ დასს“ (25%) ერგოთ.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ალიაში“ კვლავ გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა, დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნება და უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება პოლიტიკოსთა გაშუქებისას; მაგალითად სტატიაში „ვის დანიშნავს „ოცნება“ მაღალ თანამდებობებზე და ვის ჩამოალაბორანტებს?“, 31 ოქტომბერი, გვ.6, ჟურნალისტი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს „ქართული ოცნების“ წევრს ზვიად კვაჭანტირაძეს. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სხვა წევრი, ვალერი გელაშვილი, მონიტორინგის იგივე პერიოდში „ალიას“ ჟურნალისტის მიერ უჩვეულოდ დადებითად იყო წარმოდგენილი: „...ვალერი გელაშვილი არის პრინციპული, ამტანი, უზომოდ შრომისმოყვარე, მებრძოლი, შეუპოვარი, ეს თავისი ცხოვრებით უკვე დაამტკიცა! უყვარს წესრიგი, არის მიზანდასახული, ფრთხილი და დაკირვებული, მიზნისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებები მას მხოლოდ აძლიერებს...“ („ვალერი გელაშვილი: სანამ მიხეილ სააკაშვილს ციხეში არ ჩავსვამ და ნაციონალები პასუხს არ აგებენ ჩადენილ დანაშაულებზე, პოლიტიკიდან არ წავალ!“, 24 ოქტომბერი, გვ. 6).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალიაში“ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.




## კვირის პალიტრა

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „კვირის პალიტრაში“ კვლავ ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „კვირის პალიტრაში“ არ გამოვლენილა.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრაში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (24%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (18%) და მთავრობის (12%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (58%), მიხეილ სააკაშვილის (55%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (40%) და „რესპუბლიკური პარტიის“ (37%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (26%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ შეინიშნება უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ.



## ასავალ-დასავალი


*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევებით. გამოცემის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას. „ასავალ-დასავალში“ კვლავ შეინიშნება უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიისა“ და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (37%), მიხეილ სააკაშვილისა (19%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (91%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (90%), პრეზიდენტის (75%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (72%) და „რესპუბლიკური პარტიის“ (65%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი „დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს“ (18%) ერგო.

„ასავალ-დასავალში“ კვლავ სისტემატურად გვხვდება მოვლენების ცალმხრივი გაშუქება, ჟურნალისტთა დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება პოლიტიკოსთა გაშუქებისას. აღნიშნული დარღვევები გვხვდებოდა როგორც საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, ასევე არჩევნების

შედეგების გაშუქების დროსაც; მაგალითად: „მშვიდობით რესპუბლიკელო ხლისტებო.“(10 ოქტომბერი, გვ.3); „500 000-მდე ამომრჩეველმა ცოცხს მისცა... ხმა!!!“ (10 ოქტომბერი, გვ.1);

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალში“ კვლავ სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გაზეთი გამოირჩევა უკიდურესად მძიმე შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით.




## ახალი თაობა

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „ახალ თაობაში“ არ გამოვლენილა. გამოცემაში კვლავ ჭარბობს უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას. თუმცა, არნიშნული კრიტიკა გვხვდება რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში.*

„ახალ თაობაში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (23%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (22%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (35%), მიხეილ სააკაშვილის (31%), ბიძინა ივანიშვილისა

(24%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (23%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებელი კი „ეროვნულ ფორუმს“ (11%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალ თაობაში“ ობიექტურად გაშუქდა საპარლამენტო არჩევნების შედეგები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში იკვლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლებმა პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებისას.




## გურია news

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „გურია news“-ში კვლავ ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „გურია news“-ში არ გამოვლენილა. გამოცემაში ხშირად გვხვდებოდა ფასიანი, სარეკლამო სტატიები.*

„გურია news“-მა ყველა აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (34%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (18%) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (10%) საქმიანობა გააშუქა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (22%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები მონიტორინგის სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ გამოვლენილა.



მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გურია news“ კვლავ ობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გამოცემაში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.




## ქრონიკა +

*მონიტორინგის მეოთხე პერიოდში „ქრონიკა +“-ში კვლავ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას „ქრონიკა +“-ის ჟურნალისტები ღიად გამოხატავენ უარყოფით განწყობას, რიგ შემთხვევებში შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში არაერთხელ შეგვხვდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.*

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ქრონიკა +“-ში ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (25%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (20%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მთავრობის (69%), ადგილობრივი თვითმმართველობების (55%), ბლოგის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (47%), ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა (47%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (34%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არცერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, მოცემულ პერიოდშიც „ქრონიკა +“-ში გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სახვადასხვა სუბიექტის, განსაკუთრებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების გამუქებისას. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მეოთხე პერიოდის ყველა გამოცემაში სტატიები დაეთმო ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის, იოსებ გოგაშვილის კრიტიკას. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკისას ხშირად გვხვდებოდა შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტის მხრიდან; მაგალითად, სტატიებში „სოსოს სიზმარი“ (27 სექტემბერი, გვ.7); „ქვეყანა სადაც „ანტიკოტა“ არჩვენებს გვიტარებს...“ (4 ოქტომბერი, გვ.7); „ქვეყნის კრიზისსაც სოსო ჰქვია!“ (18 ოქტომბერი, გვ.7).

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქრონიკა +“-ში კვლავ შეინიშნება უარყოფითი განწყობა სახელისუფლებო გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გამუქებისას რიგ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.



## დასკვნა

მონიტორინგის მეოთხე პერიოდში შერჩეული გამოცემები ყველაზე აქტიურად კვლავ მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობას აშუქებდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულად აქტიური გაშუქება არც ერთ გამოცემაში არ გამოვლენილა. მონიტორინგისთვის შერჩეულ შვიდივე მედიასაშუალებაში მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა დადებითი თუ უარყოფითი განწყობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. სამ გამოცემაში გვხვდება შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტთა მხრიდან. ასევე გვხვდება ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიებისა და ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის შემთხვევები.

„ალია“ და „ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩევა უკიდურესად მძიმე შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით პოლიტიკოსთა გაშუქებისას. აღნიშნულ გამოცემებში სისტემატურად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

არჩევნების მეორე ტურის პერიოდში გამოცემები ნაკლებ გაშუქებას უთმობდნენ მაჟორიტარ კანდიდატებს და ძირითად ყურადღებას კვლავ პოლიტიკურ პარტიებზე ამახვილებდნენ. არჩევნების შედეგების გაშუქებისას შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას იყენებდნენ „ალიას“ და „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები. პრესაში ნაკლებად შუქდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენს ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე პოლიტიკოსთა გაშუქებისას, დაუსაბუთებელი მსჯელობა და მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.